



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2539 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი
პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1714 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის
თანახმად, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი
პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1714 განკარგულებაში შეტანილ
იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

„1. 2015 წელს, ქ. თბილისში გასამართი, ევროპის ახალგაზრდული
ოლიმპიური ფესტივალისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის
მოწყობისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს
ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან,

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ლარი, სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო შპს „სპორტმშენსერვისის“ (ს/ნ 204878542) კაპიტალის გაზრდის მიზნით.“.

პრემიერ-მინისტრი

ნ.



ირაკლი ღარიბაშვილი